


# საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში, ბრძოლით ბეჭდუდი სიფყვას, ცყულებით და ჭაბრებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისდამაგ უსამაგლესია.

**დაარსებულია**  
1918 წელს.

პარასკევი, **31** ივლისი, 2015 წელი.  
№142 (7787)

# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge **ვებ გვერდი:** www.sakresp.ge **ფასი 50 თეთრი.**

**წინ, საქართველო!**

## მზია და ეთერი გაოქროვდნენ!

მვრთვის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ძიუდოისტთა ტურნირის ფინიშზე საქართველოს სპორტული დელეგაციის ყულაბა კიდევ ორი ოქროს მედლით გაამდიდრეს 52 და 57 კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მოასპარეზე მზია ბებოშვილმა და ეთერ ლიპარტიანიანმა.

შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში გამართულ ფინალურ ბრძოლებში მათ, შესაბამისად, პოლანდიელი ილზე ბურენი (შებოჭვით) და პოლონელი ანა დობროვსკა (იპონით) დააჩოქეს.

ფესტივალის ბოლო საშეჯიბრო დღის წინ მასპინძელთა მონაგარი 3 „ოქროსა“ და 4 „ბრინჯაოს“ შეადგენს. აღსანიშნავია, რომ შვიდივე მედალი ტატამის ოსტატთა ნადავლია.

კოზა კოზახიძე

**თინათინ ხილაული:**

### მამის მიუღებლობა ტრაგედია იქნება!

5

**ზაალ ანჯაფარიძე:**

### ჩაპჯღუთი NATO-ს ტყაპუი და... იქიდან გადმოვხედოთ საქართველოს!..

## რუსეთის წინააღმდეგ სანდოებს საქართველოს უეუერთდა

### მარტოხელა პენსიონერები შეწყვეტილი დახმარების სანაცვლოდ კომპენსაციებსაც მიიღებენ

4

**ზინა ნანუაშვილი:**

### თუ საქირო იქნება, მეგაფონითაც გაემოვალთ!

2

4 **ეს არის თქვენი საყოველთაო ღაზღვავა, ბატონო სერგაენკო?!**

**იოსებ არჩვაძე:** პარაღოქსინა, მებრამ აღამინაებს ვახალისებთ იმისთვის, რომ ღარიბად დარჩნენ, მათ თევზის პატარ-პატარა ულუფებს კი არ უნდა ვანვდიდეთ, არამედ თევზის ჭირას უნდა ვასწავლიდეთ!

3

## გეოსტრატეგიული სივი ოვი საქართველოს ტერიტორიაზე

6

**ზაზა აბაშიძე:** ვფიქრობ, პრემიერმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო

7







© შირი დანახული ჯოჯი

ეს არის თქვენი საყოველთაო დაზღვევა, ბატონო სერგეენკო?!

ანუ სასწრაფოდ დახმარებისა და საავადმყოფოსგან გაპარსული უფროს ჩივილი

სწამლბ რომ სიბერეში დასაქმდები, ეს ძველ-თაძველი სიბერეა, მაგრამ ყველაფრის სწავლა და ცოდნა რომ შეუძლებელია, არც ეს არის ახალი.

ამაში ერთხელ კიდევ პირადად დაგვარწმუნდი და თანაც ძალიან მწარედ.

ყველაფერს ვიციფქრები, მაგრამ იმას ნამდვილად ვერ წარმოვიდგინებდი, რომ მოულოდნელად თავს დატყეხილი უბედურების დროს (რომელიმე უცაბედად აშლილ სატვივარზე ვლაპარაკობ!), სანამ სასწრაფო დახმარების მანქანას გამოვიძახებდი, ჯერ თურმე იმ დაავადებათა სიას უნდა გავცნობოდი, რომელი დაავადებანიც სასწრაფო დახმარების ჩამონათვალში შედის, თუ არადა, იმ დაავადების აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც სასწრაფო დახმარების ჩამონათვალში არ შედის, ჯერ კიდევ ბოლომდე არ მოსულიერებულმა ჯიბეზე უნდა იკრა ხელი და კაი 149 ლარი და 80 თეთრი დაეყატო (თუ, რასაკვირველია, შესავით დაავადებული, ლალაგამოცლილი ჯიბე არ გაკერია!).

სწორედ ასეთი თავზარდამცემი ტრაგედია დამემართა აგერ, ახლა, ოთხშაბათს, 29 ივლისს, თბილისის რესპუბლიკურ საავადმყოფოში.

ეს ამბავი კი ჩემთვის თავზარდამცემი ტრაგედია იმიტომ აღმოჩნდა, რომ როგორც მე, 54 წლის დიასახლისი, ისე ჩემი მეუღლე, 59 წლის მამაკაცი, დიდი ხნის უმუშევრები ვართ და მხოლოდ 80 წლის პენსიონერი მამაჩემის „ჩიტის ულუფაზე“ ვიმყოფებით.

რეგისტრატორმა გოგონამ ფაჩუაშვილმა სასწრაფოდ გამოწერა ჩვეი, ხოლო პოლიციელი გეტრდით ამომიდა. ერთ სიტყვით, სამედიცინო დაწესებულებაში დახმარებისთვის მისული და სისუსტისგან ჯერ კიდევ ფეხზე ძლივს მდგომი, თითქმის პატიმარი აღმოვჩნდი. სასწრაფო დახმარების მანქანა პოლიციის მანქანად მექცა.

პატივცემულო მინისტრო სერგეენკო, ძალიან კარგია, რომ ახალმა ხელისუფლებამ საყოველთაო სახალხო დაზღვევა შემოიღეთ, ეს ნამდვილად იმის აშკარა მანიშნებელია, რომ თქვენ ზრუნავთ ხალხის ჯანმრთელობაზე. მაგრამ როგორც მოქალაქემ, უნდა გირჩიოთ (თქვენ, ცხადია, ვერც მოიცლით და არც ამის დრო არა გაქვთ): იქნებ რამდენიმეკაციანი კომისიები დაგზავნოთ რაიონის პოლიკლინიკებში და უფრო ღრმად გაიგოთ, რა ხდება იქ და რას ჩივის ძალიან ბევრი რამით უკმაყოფილო ხალხი.

და კიდევ: იქნებ სასწრაფო დახმარების ექიმებმა თან ატარონ იმ დაავადებათა ჩამონათვალი, რომელთა გამოც ავადმყოფს თანხის გადახდა მოუწევს. ასეთ შემთხვევაში ბევრი ავადმყოფი, მით უმეტეს, უფულო და უმწეო, სასწრაფო დახმარების მანქანას აღარ გაჰყვება საავადმყოფოში და ისევ სახლში სიკვდილს ამჯობინებს, ვიდრე პოლიციაში აღმოჩნდეს.

ერთი სიტყვით, პირადად თქვენი მხრიდან ძალიან ბევრი ვითომ წვრილმანი რამ არის მისახვედი და მოსაწესრიგებელი, რაც უთუოდ აშკარად ვნებს და ჩრდილს აყენებს საბოლოო ჯამში არცთუ ცუდ ამ თქვენს საყოველთაო დაზღვევის საქმეს;

ნუ დაგავიწყდებათ, რომ ეშმაკი სწორედ წვრილმანებში იმალება, რომელი წვრილმანებიც (აი თუნდაც ამა თუ იმ ანალიზების საკითხი ავიდოთ ან არა თავისი მიზეზით უმუშევარი, უფულო ადამიანისთვის სამედიცინო დახმარება!) თანდათან უკვე მსხვილმან პრობლემებად იქცა ჩვენი კარგა გვარიანად შეჭირვებული ხალხისათვის.

ყურადღების იმედიოთ სასწრაფოდ დახმარებული და რესპუბლიკურში სამსაათიანი ყოფნის გამო 149 ლარისა და 80 თეთრით გაძარცვული უმწეო თამარ მაღაციქა,

54 წლის უმუშევარი, ფილოლოგი

© ვითარება

სახელმწიფო პალატის არ არის, კერძო ქონებრივი ზარალი დააზღვიოს!

პასუხისმგებლობის დაზღვევა (2,35 პროცენტი). ყველა სხვა სახეობა 2 პროცენტამდე ფარგლებშია და ბაზრის, ფაქტობრივად, მინიმალურ ადგილს იკავებს. ამასთან, ხშირად კერძო პირები ავტომობილებსა და ქონებას მხოლოდ იპოთეკური სესხის აღების დროს აზღვევენ ხოლმე, საფინანსო ინსტიტუტების, ფაქტობრივად, სავალდებულო შემოთავაზებით.

არადა, სადაზღვევო კომპანიების შემოთავაზებულ მომსახურებაში შედის, მაგალითად, ისეთი მომსახურებებიც, როგორცაა: სამოგზაურო დაზღვევა, უბედური შემთხვევის დაზღვევა, ტვირთების დაზღვევა, ქონების დაზღვევა, დაზღვევა საფინანსო დანაკარგებისაგან, ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა, საკრედიტო ვალდებუ-

სადაზღვევო კულტურის დაფინანსება საქართველოში

ლებათა დაზღვევა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, იურიდიული ხარჯების დაზღვევა და აგრეთაზღვევა, რომელიც ბოლო წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვან თანადაფინანსებას ექვემდებარება.

სამწუხაროდ, ეს სტატისტიკა ცხადყოფს, რომ საკუთარი ქონებისადმი ცივილიზებული, პასუხისმგებლური დამოკიდებულების ჩამოყალიბებამდე საკმაოდ გრძელი გზაა. პოსტსაბჭოთა საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ ძნელია იმის გაცნობიერება, რომ სახელმწიფო არ არის ვალდებული, მათი კერძო ქონებრივი ზარალი დააზღვიოს და, თუ სიღარიბის ზღვარს მიღმა არ არიან, სასურველია, ამ რისკების დაზღვევაზე თავად იზრუნონ.

ნიკო ევზანიძე



მარტონელა პენსიონერები შეწყვეტილი დახმარების სანაცვლოდ კომპენსაციებს მიიღებენ

საძარტველმოს მთავრობამ გუშინდელ სხდომაზე სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შეფასების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მომზადებულ ცვლილებათა პაკეტი დაამტკიცა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა მთავრობის სხდომის დაწყებისას განაცხადა, ახალი პროგრამით, რომელიც მაისიდან დაიწყო, შესაძლებელი გახდა, მრავალსულიანი და მრავალშვილიანი ოჯახების საქართველოში უფრო ნათლად დაენახათ და გაეანალიზებინათ. „მე ვიცი, რომ სამთვიანი მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა ყველა ის საკითხი, რაც შეცვლას და დახვეწას საჭიროებს. დღეს სწორედ იმ მარტონელა პენსიონერებისთვის, რომლებიც პროგრამის მიღმა დარჩნენ, საარსებო



შემწეობის აღდგენის საკითხს განვიხილავთ. უფრო მეტიც, ჩვენ მათ კომპენსაციის სახით, ავუნაზღაურებთ შესაბამის თანხას, რომელიც უნდა მიეღოთ იმ თვეების განმავლობაში, როდესაც შემწეობის მიღება შეჩერებული ჰქონდათ“.

პრემიერმა ამ საკითხის მომზადებისთვის, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს მადლობაც გადაუხადა. როგორც ლარიბაშვილმა აღნიშნა, 2012 წლიდან მისი მთავრობის დროს შეფასების მეთოდოლოგია არაერთხელ გაუმჯობესდა და ჯანდაცვის სამინისტრო მის დახვეწაზე კვლავ მუშაობს. „მას შემდეგ, რაც ელექტრონული ტარიფი რეგიონებისთვის დაკორექტირდა, ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ სოციალურად დაუცველი ფენებისთვის ეს აგვერიდებინა და 70 000 ქულაზე ნაკლები შეფასების მქონე სოციალურად დაუცველებისთვის სახელმწიფოს სრულად დაეფარა ტარიფის ზრდით გამოწვეული სხვაობა“, - განაცხადა ლარიბაშვილმა.

© ჯარიმებიც არ აზინავთ

სხრა აუთიქს ლიხაენია გაუშვდა

ფსიქოტროპული ნივთიერებების ურეცეპტოდ გაცემის ფაქტებზე, 2015 წლის 1 იანვრიდან 29 ივლისის ჩათვლით, 69 ადმინისტრაციული ოქმი შედგა. გამოვლენილი სამართალდარღვევის გამო 9 აფთიაქს ლიცენზია გაუშვეს. დანარჩენ შემთხვევაში ფულადი სანქციები დაეკისრა.

დადგენილების მიხედვით, ფსიქოტროპული ნივთიერების რეალიზაციის ფაქტებზე, პირველ ჯერზე ჯარიმა განისაზღვრება 6000 ლარის ოდენობით. მეორე და ყოველი შემდგომი შემთხვევა ითვალისწინებს ფულად ჯარიმას 12 000 ლარის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ ფსიქოტროპული ნივთიერებების რეალიზაციის ფაქტი ერთიდაიგივე აფთიაქში ერთი წლის განმავლობაში სამჯერ დაფიქსირდა, რეგულირების სააგენტო, სასამართლო დადგენილების საფუძველზე უფლებამოსილია, აფთიაქს ლიცენზია გაუშვოს. დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ ზღუდავს, იმ აფთიაქის მენეჯერს, რომელსაც ლიცენზია უკვე ჩამორთმეული აქვს, სამწინარეო საქმიანობა იმავე ადგილას, თუმცა, ამჯერად სხვა სახელწოდებით დაიწყო.

უკვე შემუშავებულია ცვლილებები კანონპროექტში, რომლის მიხედვითაც ლიმიტირებული გახდება ფსიქოტროპული აფთიაქების რაოდენობა და ნებართვა გაიცემა მხოლოდ ტერიტორიული პრინციპით:

- თბილისის მასშტაბით, თითო უბანზე გაიცემა მხოლოდ 2 ნებართვა.
- თვითმმართველ ქალაქებში - 50 000 მოსახლემდე გაიცემა 1 ნებართვა. ყოველ შემდგომ 50 000 მოსახლეზე კი დამატებით გაიცემა კიდევ 1 ნებართვა;
- მუნიციპალიტეტებში გაიცემა არაუმეტეს 1 ნებართვისა.





# თინათინ ხიდაშელი: მაპის მიუღებლობა ტრაგედია იქნება!

ამსტრისკულ გერმანულენოვან გაზეთ Kurier-თან საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივებსა და ევროკავშირთან ურთიერთობის საკითხებზე ისაუბრა. შტეფან შონერთან ინტერვიუში საუბარი საქართველოსა და რეგიონში არსებულ საფრთხეებსაც შეეხო.

## „არ შეიძლება, ნატომ ან ევროკავშირმა მომავალშიც ასე იმოქმედონ“

თინათინ ხიდაშელი ევროკავშირისა და ნატოსგან საქართველოსთან დაკავშირებით მკაფიო პოზიციას ითხოვს.

საქართველო ნატოში ინტეგრაციისკენ მიისწრაფვის და ევროკავშირთან დაახლოება სურს. ბოლო 10 წლის განმავლობაში ქვეყანამ მასშტაბური რეფორმები განახორციელა, საქართველოს მოქალაქეები ძალიანსხვავდებიან არ იშურებენ, თუმცა, რეალური შედეგი ჯერ სახეზე არ არის. რუსეთთან კონფლიქტს კი დასავლეთთან დაახლოების პროცესში ახალი დინამიკა შეაქვს. თინათინ ხიდაშელი საქართველოს თავდაცვის მინისტრია. Kurier მას ინტერვიუს ჩასანერად შესვდა.

— კავკასიასა და უკრაინაში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, რა მიგაჩნიათ საქართველოსთვის ყველაზე დიდ საფრთხედ?

— გასული წელი ძალიან რთული იყო. ქვეყნები ცდილობენ, საკუთარი არჩევანი გააკეთონ. რეგიონის ყველა ქვეყანა კრიზისიდან გამოსვლასა და საკუთარი გზის მოძებნას ცდილობს. უკრაინაში განვითარებული მოვლენები ოპტიმიზმის საფუძველს ნაკლებად გვაძლევს, თითოეულმა მათგანმა საკუთარი არჩევანი უნდა გააკეთოს. საუბარია არა მხოლოდ რეგიონის ქვეყნებზე, არამედ, ჩვენს პარტნიორებსა და მეგობრებზეც. ჩემი აზრით, ის გამოწვევები, რომელსაც რუსეთის მხრიდან ვგრძობთ, მიმართულია არა მარტო თბილისის, კიევის, ბაქოს ან ერევანისკენ, არამედ, ეს ეხება ვაშინგტონს, ბრიუსელს და დასავლეთის ყველა სხვა ქვეყნის დედაქალაქს.

— როგორ შეაფასებდით რიგის სამიტს? საქართველოსთვის ვიზის ლიბერალიზაციის მოლოდინი გქონდათ, რაც არ გამართლდა...

— მე ვიტყვოდი, რომ ძალიან დადებითი სამიტი იყო. საქართველომ ვიზის ლიბერალიზაცია ვერ მიიღო, მაგრამ ამ საკითხზე პრინციპული გადაწყვეტილებ

ა არსებობს და ეს მხოლოდ დროის, მოკლე დროის საკითხია. მე დადებითად ვარ განწყობილი, მოსაგვარებელი რჩევა ტექნიკური დეტალები.

— საკმარისს აკეთებს ევროკავშირი საქართველოსთვის, რომელმაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება გააფორმა?

— უფრო მეტზე ყოველთვის შეიძლება საუბარი, ევროკავშირი ჩვენთვის სანდო და მყარი პარტნიორია, რომელიც დაპირებებს შეასრულებს. ჩვენ შეგვიძლია, ამაზე მუდამ ვისაუბროთ, ვთქვათ, რომ რაღაც შეიძლება და ორი წლის წინათ გაკეთებულიყო, მაგრამ რეალისტურ სამყაროში ვცხოვრობთ. შეიძლება ითქვას, ევროკავშირი ჩვენთან ურთიერთობის პროცესში კარგ სამუშაოს ასრულებს.

— იგივე პოზიცია გაქვთ ნატოსთან დაკავშირებით?

— ვერ უარვყოფთ, რომ ნატოსთან დაკავშირებით სხვაგვარად დგას საკითხი, ევროკავშირთან და ნატოსთან იდენტური ურთიერთობა არ გვაქვს. ჩვენი მხრიდან ყველა ტექნიკური სამუშაო შევასრულეთ. ახლა რაც გვაკლია, ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება მაპის მიხედვით და საბოლოოდ, განვერიანე



ბა, რასაც 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე დაგვიპირდნენ.

— მოხდება ეს მომდევნო 10 წელიწადში?

— რეალურად რომ შევხედოთ, ეს შესაძლებელია 10 წელიწადში, ერთ წელიწადში, ნებისმიერ დროს მოხდეს. მზად უნდა ვიყოთ, შანსი ხელიდან არ გავუშვათ. ველოდებით ჩვენს შანსს.

— აქ არსებობს კითხვა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, აღნიშნულ ტერიტორიებზე რუსული შენაერთები დგანან და რუსეთმა მათი დამოუკიდებლობა აღიარა. ხომ არ აშინებს ეს ნატოს, ხომ არ არის დამაბრკოლებელი ფაქტორი?

— განვერიანების პროცესში შესაძლებელია, დამაბრკოლებელი იყოს, მაგრამ მაპის მიღებასთან დაკავშირებით ამ ფაქტორს ვერ ვხედავ. კოლექტიური უსაფრთხოება არ არსებობს. თუ რუსეთი უკრაინაში წარმატებას მიაღწევს, მაშინ უკრაინით აღარ დაკმაყოფილდება. არ შეიძლება, ნატომ ან ევროკავშირმა მომავალშიც ისე იმოქმედონ, როგორც ამას დღეს აკეთებენ მხოლოდ რეაქციის სახით. ბევრი საშუალება არსებობს, აქ, დედაქალაქებში, ბევრი გა-

დაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული. სამსუხაროდ, თბილისში ჩვენი შესაძლებლობები შეზღუდულია. ჩვენ საკუთარი არჩევანი გავაკეთეთ. 2016 წელს ნატოს ვარშავის სამიტმა კონკრეტული პასუხი უნდა გავცევს. დადგა მომენტი, როდესაც ჩვენ კიდევ მოთმინების რეჟიმში ყოფნა აღარ შეგვიძლია.

— უკრაინაში ომმა მეორე მხრივ, ნატოს სუსტი მხარეები ცხადი გახადა. ნამდვილად არის ნატო უსაფრთხოების ფაქტორი თუ შესაძლოა, უფრო მეტად რისკთან იყოს დაკავშირებული?

— ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კუთხიდან, მოსკოვის გადასახედიდან შევხედავთ სიტუაციას, თუ თბილისის თვალთ დავაკვირდებით. დღეს ნატო უფრო ძლიერია, ვიდრე 2008 წელს, როდესაც ჩვენ რუსეთთან ვიყავით ომში ჩართული. როდესაც რუსეთს გაცნობიერებული არა აქვს, რას წარმოადგენს ნატოს პრინციპები, რას შეაჩერებს ის? ჩვენთვის მაპის მიცემა ნატოს გააძლიერებს. ნატოს ჩვენ ვჭირდებით მეტად, ვიდრე ჩვენ ნატო, როგორც პოლიტიკური სიგნალი რუსეთისთვის.

— და თუ მაპს ვერ მიიღებთ...  
— ეს არ იქნება საქართველოს დასახრული, მაგრამ იქნება ტრაგედია...

### © ისევ საომარი ლელო...

# ჩაკვლეთ NATO-ს ზყავში და... იქიდან გადმოვხედოთ საქართველოს!

## აბაშიძე-პარასინის ფორმატის გაუმჯობესოთ საქართველო უფრო დაზარალებულა. ვიდრე რუსეთი

800-მდე თუ არა ქვეყანა ვარშავის სამიტზე MAP-ს და რა კავშირი აქვს MAP-ის მინიჭებას აბაშიძე-პარასინის ფორმატთან? ამ საკითხებთან დაკავშირებით ზაბალ ბნაზაშვიტიმ გვესაუბრა.

— პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ნატოში მიაჩნიათ თუ საქართველო აბაშიძე-პარასინის ფორმატს განვეტეს, საქართველოსთვის MAP-ის მიღების საკითხი გართულდება. ბატონო ზაბალ, რა პირდაპირი კავშირი აქვს ამ ფორმატს MAP-ის მინიჭების საკითხთან?

— დასავლეთში მიაჩნიათ, რომ, თუ საქართველომ განვიტოვა რუსეთთან ურთიერთობის ბოლო საზი, ეს საქართველოს უსაფრთხოებისთვის სარისკო იქნება, გაზრდის საქართველოს წინაშე საფრთხეებს, დაძაბულობას შეიტანს ორმხრივ ურთიერთობაში. აქედან გამომდინარე, რუსეთის რეაქცია საქართველოსთვის MAP-ის მინიჭების საკითხზე შესაძლოა უფრო მძაფრი იყოს. აი, ასეთი ვარაუდი შეიძლება დაეფუძვას დავით უსუფაშვილის განცხადებებიდან. სხვა მხრივ, MAP-ის მინიჭება-არმინიჭებასა და აბაშიძე-პარასინის ფორმატის გაუმჯობესებასთან პირდაპირ კავშირს ვერ ვხედავ.

— აბაშიძე-პარასინის ფორმატის გაუმჯობესებას ძალიან აქტიურად ითხოვს ოპოზიცია და არასამთავრობო სექტორი, თვლიან, რომ ეს არ არის შედეგზე ორიენტირებული ფორმატი. როგორ ფიქრობთ, რამდენად გადაჭარბებული იყო მოლოდინები ამ ფორმატთან დაკავშირებით?



— საჭიროა, რომ გვექნოდეს სწორი მოლოდინი იმისა, თუ რას ველით ამ ფორმატისგან. მოლოდინები, რაც არსებობდა, ვფიქრობ, რომ მეტწილად გამართლდა და ამაზე მეტყველებს კონკრეტული შედეგები. კერძოდ, მიზნად დასახული იყო, რომ გახსნილიყო რუსეთის ბაზარი საქართველოს გარკვეული პროდუქციისთვის, გაფართოებულიყო ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობა და, ფაქტია, რომ ეს პროცესები დაიძრა. აღსდგა სატრანპორტო მიმოსვლა და რაც მთავარია, გარკვეული კატეგორიის მოხელეებისთვის სავიზო რეჟიმი გამარტივდა, ანუ, რომ შევადაროთ იმ სიტუაციას რაც იყო ამ ფორმატის გახსნამდე და რაც ახლა გვაქვს, გარკვეული პოზიტიური შედეგები არის. თუნდაც იმ კუთხით, რომ ორმხრივ ურთიერთობაში დაძაბულობის გრადუსმა დაიწია.

— თუმცა, ამ ფორმატმა ნამდვილად ვერ შეუწყო ხელი რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ მთავარ პრობლემას, რასაც შქეია ოკუპირებული ტერიტორიები...  
— ნამდვილად ასეა. თუმცა, ეს საკითხი არც იდგა ამ ფორმატის დღის წესრიგში. ჩემი აზრით, ამასთან რამე მოლოდინების დაკავშირება გაუმართლებელი იქნებოდა.

— ფორმატი ითვალისწინებს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენას, გამომდინარე იქიდან, რომ ამ კუთხით შედეგი ნამდვილად არსებობს, ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ ფორმატმა უნდა შეასრულოს ახალი ფუნქცია?  
— სხვათა შორის, ამაზე რუსი ექსპერტებიც საუბრობენ, რომ ამ ფორმატს უნდა მიეცეს უფრო მეტი დატვირთვა, მაგრამ ეს ჩვენი ქვეყნისთვის გარკვეული რისკებს შეიცავს.

### © ინფორმაცია

## რუსეთის წინააღმდეგ სანქსიებს საქართველოს შეუპირდა

საძარტველო რუსეთის წინააღმდეგ ევროკავშირის სანქციებს შეუერთდა. ამის შესახებ ევროპული საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ დეკლარაციაშია აღნიშნული, რომელიც ვიციისა და სევესტოპოლის ანექსიას ეხება.

როგორც ცნობილია, ვიციის ანექსიასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ, საქართველოს გარდა, კიდევ ექვსი ქვეყანა შეუერთდა. „2015 წლის 19 ივნისს საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 2015/959 საბჭოს გადაწყვეტილებით არსებული ზომები 2015 წლის 23 ივნისამდე შენარჩუნდეს. კანდიდატი ქვეყნები მონტენეგრო და ალბანეთი, ასევე EFTA-ს ქვეყნები — ისლანდია, ლიხტენშტეინი და ნორვეგია და ასევე უკრაინა და საქართველო აღნიშნულ დეკლარაციას უერთდებიან. ისინი უზრუნველყოფენ, რომ თავიანთი ეროვნული პოლიტიკა საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისობაში იყოს. ევროკავშირი მათ ამ ვალდებულებას იმასსოვრებს და მიესალმება მას“, — წერია ევროპული საბჭოს ვებგვერდზე.



© ქართლის (სამხარალოს) გადმოცემა...

# გეოსტრატეგიული სივრცე რაი საქართველოს გეოსტრატეგიაზე

რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე „სასაზღვრო ნიშნების“ აღმართვასთან დაკავშირებით დასავლეთშიც, ევროპის საბჭოს პრეზიდენტის დონალდ ტუსკის სახელით და საქართველოს მთავრობამაც ირაკლი ლარიაშვილის მეთაურობით, საკუთარი პოზიცია არაერთხელ გამოხატეს და ეს ფაქტი რუსეთის პროვოკაციად შეაფასეს.

რისკენ არის მიმართული რუსეთის ეს პროვოკაცია და რა შეიძლება იყოს მისი რეალური მიზანი, ამას არც ოფიციალური თბილისი საუბრობს და მითუმეტეს, არც დასავლეთი. ისიც ნათელია, რომ, თუკი რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე ომის წამოწყებას და საქართველოს ტერიტორიების მიტაცებას გეგმავს, სულ მცირე, იმავე მეთოდებს გამოიყენებდა, რასაც აგვისტოს ომის წინ მიმართავდა. როგორც ჩანს, მცოცავი ანექსია სხვა განაცხადია. ექსპერტები ფიქრობენ, რომ რუსეთის განაცხადი არა საქართველოსკენ, არამედ იმ ქვეყნებისკენ არის მიმართული, რომლებსაც კავკასიაში გააჩნიათ სტრატეგიული ინტერესები.

როდესაც საქართველოს სატრანზიტო ფუნქციაზე საუბარი, ბუნებრივია, მრავალი ქვეყნის ინტერესი იყრის თავს როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, რა შეიძლება იყოს რუსეთის საბოლოო მიზანი.

როგორც ექსპერტი ემზარ ჯგერენაია თვლის, ამ ნაბიჯით რუსეთი კიდევ ერთხელ გახსენებს, რომ ამ რეგიონში ის არის პატრონი და მისი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები მუდმივად გასათვალისწინებელია.

ამით აცხადებს, რომ „წინააღმდეგ შემთხვევაში შემოიღო შეფქმნა პრობლემები“. ეს არის ჩვეულებრივი, იმპერიული ნაბიჯი, შიშისმომგვრელი და თავზარდამცემი ინვესტირებისთვისაც და მასპინძელი ქვეყნისთვისაც. ის, რასაც რუსეთი აკეთებს, დამალული და ძნელად გამოსაცნობი არ არის – ხომ არის საქართველოს მთავარი ეკონომიკური მიზანი, გასდეს სატრანზიტო ქვეყანა? – რუსეთი თავისი ნაბიჯებით ამბობს, რომ აქ მე ვარ და ჩემს გარეშე არაფერი არ იქნება“, – აცხადებს ჯგერენაია.

ექსპერტ დემურ გიორგენიძეს მიაჩნია, რომ დასავლეთისა და საქართველოს ხელისუფლების განცხადებები, რომ ეს არის პროვოკაცია, არა მარტო უსუსურია, არამედ ელემენტარული ტყუილია.

„ის, რაც ხდება, არის რუსეთის რეაქცია საქართველოს პოლიტიკაზე. ამ ნაბიჯში ჩანს საქართველოს უუნარობა, თავის სტრატეგიულ პარტნიორებთან და მებრძოლ ქვეყნებთან ერთად მოძებნოს გზები პოლიტიკური დიალოგისთვის, რადგან უსაფრთხოების პრობლემა არის ის, რაც საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში დომინირებს“, – აცხადებს გიორგენიძე.



თუკი რუსული პოლიტიკა საქართველოში გათამაშებული გეოსტრატეგიული გადაწყვეტილებების შედეგია, ალბათ, გასათვალისწინებელია, რომ იმ პროექტებში, რომელიც საქართველოში ხორციელდება, მონაწილეობენ სხვა ქვეყნებიც – აზერბაიჯანი, თურქეთი, ისეთი გიგანტური მოთამაშე, როგორცაა BP. ამდენად საინტერესოა, მათი ეკონომიკური ინტერესები რუსეთისთვის ანგარიშგასანევი რა შემთხვევაში გახდება.

ემზარ ჯგერენაია თვლის, რომ ყველა მათგანთან რუსეთს თავისი თამაში აქვს. – აზერბაიჯანთან რუსეთს თავისი ომი აქვს და ყარაბაღის თემა არ მთავრდება. თურქეთთან თავისი დამოკიდებულება აქვს და მას კარგად იყენებს ევროპის წინააღმდეგ, იგივე „სამხრეთ ნაკადის“ პროექტი განხორციელდება თუ არა, თურქეთთან რუსეთს ძალზე სერიოზული მიდგომები აქვს – თანამშრომლობა სავაჭრო თუ სამხედრო კუთხით, თანამშრომლობა კონვენციებითაც – ყველა ქვეყანასთან რუსეთს თავისი თამაში აქვს, მათ შორის, ისეთ გიგანტურ კომპანიასთანაც, როგორცაა BP. ამის კარგი მაგალითია 15-წლიანი ომი BP-ში აქტივების გადაწვინების გამო, – ამბობს ემზარ ჯგერენაია.

დემურ გიორგენიძე მიიჩნევს, რომ რუსეთს შეიძლება ჰქონდეს მრავალპლანიანი მიზნები და ეს არ არის მხოლოდ სატრანზიტო ტრასების გაკონტროლება.

– პირველ რიგში, ეს არის პრევენცია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის ჯარის დაშვების შანსი მოაშთოს. რაც შეეხება სატრანზიტო ფუნქციას, რუსებმა ისიც კარგად იციან, რომ კონფორტული რეჟიმში დიდი და მსოფლიო მასშტაბის პროექტები ვერ განხორციელდება. ეს დაძაბულობა უფრო დიდ ქვეყნებს შორის დაპირისპირების შედეგია. საქართველო, უბრალოდ, ცუდი პოლიტიკის გამო გაჩაჩხვრილია ამ დიდ დაპირისპირებაში, რომელიც მას კარგს არაფერს უქადის. პოლიტიკა, რომელიც საქართველოს გადაარჩენს, შეიძლება, იყოს ნაკარნახევი ძალიან ცივი გონებითა და პრაგმატული ინტერესებით, ამან შეიძლება დიდი სარგებელიც მოიტანოს ქვეყნისთვის. ცალმხრივ და ანგაფირებულ პოლიტიკას, რო-

მელსაც უკვე ბოლშევიკური პროპაგანდის ელფერი დაკრავს, შედეგის მოტანა არ შეუძლია, – აცხადებს გიორგენიძე.

ექსპერტი ალექსანდრე თვალჭრელიძე მიიჩნევს, რომ არანაირ სატრანზიტო ფუნქციის დაკნინებაზე არ შეიძლება იყოს საუბარი.

– რუსეთის მიზანი ძალიან მარტივად ამოსაცნობია – აღდგეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ის საზღვრები, რომელიც თავის დროზე სტალინმა მოხაზა ფანქრით. რაც შეეხება ბაქოსუფის ნავთობსადენს, მას გადმოიტანენ – ნავთობსადენს ხელს არ მოჰყიდებს რუსეთი, რადგან იცის, რომ მკაცრი სანქციები დაუწესდება, – აცხადებს ალექსანდრე თვალჭრელიძე.

ალბათ, ისიც საინტერესოა, თუკი ასეთი გეგმა აქვს რუსეთს, რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს სტალინის მიერ თავის დროზე ფანქრით მოხაზული გეგმის დღეს განხორცილება და ვის უნებებს რუსეთი წითელ შუქნი შანსს, თუმცა, ამ თემაზე მხოლოდ ვარაუდები შეიძლება გამოითქვას.



თუკი მაინც გეოსტრატეგიულ ინტერესებზე საუბარი, ისიც საინტერესოა, რომელი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით შეიძლება შეჩერდეს რუსული გეგმების განხორციელება საქართველოში.

ემზარ ჯგერენაია თვლის, რომ ყველა ქვეყანა უნდა გამოიყენოს საამისოდ საქართველო – ეს იქნება აშშ, ევროპა თუ ჩინეთი.

– ვხედავთ, რუსეთი რასაც აკეთებს უკრაინაში, ის არ არის უბრალო მოწინააღმდეგე, ამიტომ საქართველომ ყველა საშუალება უნდა მოძებნოს მის შესაჩერებლად. რაც შეეხება ჩინეთს, ის საკმაოდ ახალი მოთამაშე რეგიონში და არ გამოუყენებია თავისი იმპერიული ზრახვები საქართველოში – შეეჯახება თუ არა რუსეთის ინტერესებს, ვნახოთ, მომავლის საქმეა, რადგან ჩინეთს თავისი სერიოზული გეგმები აქვს ევროპაში გასვლის თვალსაზრისით, – აცხადებს ჯგერენაია.

რამდენად სერიოზულად მუშაობენ ამ საფრთხეზე ქართული უშიშროების სამსახურები, ძნელი სათქმელია, რადგან როგორც წესი, სახელმწიფო უსაფრთხოების საკითხები გასაიდუმლოებულია. თუმცა, სასურველია, დაახლოებით მაინც ვიცოდეთ, რა მოლოდინები შეიძლება არსებობდეს და რამდენად დაცულია საქართველოს მოსახლეობა მსხვილი გეოპოლიტიკური გადათამაშების ეპოქაში.

მარიამ თოდაძე

## ბოტანიკური ბიწვავთ!

სამბრთხველუს ეროვნული ბოტანიკური ბაღი თბილისელებს და დედაქალაქის სტუმრებს დაუფინყარ ლონისძიებაზე დასწრებას სთავაზობს.

1-2 აგვისტოს ბოტანიკური ბაღის ვიზიტორთა ცენტრში გაიმართება ბაღის თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრების მიერ შექმნილი ხელნაკეთი ნივთების გამოფენა. დაუფინყარ შესვენდრას, რომელიც 16 საათზე დაიწყება, გაუძღვება პოეტი ნანა ცინცაძე. გამოფენის პარალელურად გაიმართება ბოტანიკური ბაღის თანამშრომლის ელისაბედ ჯავახიშვილის პოეზიის საღამო.



## ინფორმაცია

### ირანული გაზი ქართული პორტუმის გაკლით

პარლამენტის ვიცე-სპიკერის გუბაზ სანიკიძის ინფორმაციით, ირანი საქართველოში მეგაპროექტების განხორციელებით არის დაინტერესებული. იგი დაისპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, შალვა კიკნაველიძესთან ერთად ირანის ისლამური რესპუბლიკის მეფლისის (პარლამენტის) ეროვნული წარმომადგენლის მხარდაჭერის და შესაბამისი პოლიტიკის განხორციელების მონიტორინგის კომისიის თავმჯდომარედ დაწვევებს შესვდა.

„ირანი დიდი ხანი იზოლაციაში იყო მოქცეული. იმყოფებოდა სანქციების ქვეშ. ასე სანქციები ისხნება ვენის ხელმოწერის შემდეგ. მათ ინტერესებთ, როგორც ჩვენი საკანონმდებლო გამოცდილება, ასევე დაინტერესებული არიან გარკვეული პროექტების საქართველოში განხორციელებით. იყო მეგაპროექტებზე საუბარი – კერძოდ, ენერგომატარებლების – გაზისა და ნავთობის გატარებაზე ჩვენი პორტუმის საშუალებით, ასევე საუბარია და მათ ძალიან დიდი სურვილი აქვთ საქართველოდან მიიღონ სარწყავი წყალი“, – განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

„გეჭირდება ვიცოდეთ, როგორ მოახერხა საქართველომ რეგიონში განსაკუთრებული ადგილის დაკავება ბიზნესის კუთხით. გვინტერესება ქართველი კოლეგებისგან გაგვეყო, რა უნდა გავაკეთოთ ირანში იმისთვის, რომ მოხდეს ეროვნული მრწველობისა და ბიზნესის კუთხის გამართლება. გარდა ამისა, შევეხეთ საქართველოსა და ირანს შორის არსებულ ისტორიულ, კულტურულ თანამშრომლობას და ურთიერთობებს. იმედი გვაქვს, ეს დიდ გავლენას იქონიებს საქართველოსა და ირანს შორის ტვირთბრუნვის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სხვა სფეროების განვითარების კუთხით“, – განაცხადა ირანელმა სტუმარმა პამიტრეზა ფულადგარიმ.

ინტერპრესი

# არ დათმოს საქართველო!

ამ სათაურით შვედური ინტერნეტ-გამოცემა „EXPRESSEN LEDARE“ სტატიას აქვეყნებს

შვედური ინტერნეტ-გამოცემა „Expressten Ledare“-ის სტატიაში საუბარია საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე, 2008 წლის ომსა და ომის შემდგომ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების მიმდინარე ანექსიაზე.

სტატიის ავტორი რუსეთისადმი საქართველოს ამჟამინდელი მთავრობის დეცაკლაციის პოლიტიკაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ამის მიუხედავად, ბოლო დროს რუსეთი გამოკვეთილი ნაბიჯებით განაგრძობს საქართველოს რეგიონების



საკუთარი გავლენის ქვეშ მოქცევას. ავტორი ევროკავშირის აკრიტიკებს და აღნიშნავს, რომ საკმარისი ძალისხმევა არ არის მიმართული საქართველოს მხარდასაჭერად. „საქართველოს მთავრობა, ისევე როგორც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა, NATO-სთან და ევროკავშირთან თანამშრომლობას უჭერს მხარს, რაც რუსეთისთვის მიუღებელია“, – ნათქვამია პუბლიკაციაში.

სტატიის ავტორი მოუწოდებს შვედეთის მოსახლეობას და მთავრობას, უფ-



# ზაზა აბაშიძე: ვეფრობ, პრეპიერმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო

**ახალი დირექტორის დანიშვნის შემდეგ, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს დიდი კორნელი კეკელიძის სახელი დაუბრუნდა. ხელნაწერებს მალე ახალი, ეროვნული განმისთვის შესაფერისი ისტორიული შენობაც ექნებათ, რაც ათეული წლები გადაუჭრელი პრობლემა იყო. უმნიშვნელოვანესია ისიც, რომ ცენტრის თანამშრომლებს ხელფასები 150-300%-ით გაზარდათ. კიდევ რა შეიცვალა ზაზა აბაშიძის დანიშვნის შემდეგ და რა პროექტების განხორციელება იგეგმება, აღნიშნულზე თავად ზაზა აბაშიძე გვესაუბრება.**



– ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს დიდი კორნელი კეკელიძის სახელი დაუბრუნდა. რას უკავშირდება ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება?  
– მეცნიერებმა ერთ-ერთ შეკრებაზე გამოთქვეს სურვილი, რომ ცენტრს თავისი სახელი დაუბრუნდეს, რადგან თავის დროზე, ამ სახელის ჩამოშორება გაუგებრობის გამო მოხდა. იმ პერიოდისთვის გადაწყდა, რომ ცენტრები არაგვის სახელობის არ უნდა ყოფილიყო და სახელწოდებებიდან კორნელი კეკელიძის სახელი სწორედ ამიტომ გაქრა. ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორ მარიკა დიდუბულიძის დიდი მცდელობით,

აღამიანი არ ვარ და ჯერჯერობით რეაქცია არ მაქვს, მაგრამ მაქვს ინფორმაცია, რომ ცენტრში არის მცირე დაჯგუფება, რომელსაც სურს, დისონანსი შეიტანოს ცენტრის მუშაობაში, რაც არ გამოუვათ.  
ცენტრში მოსვლის პირველივე დღეს სიმშვიდე დამხვდა. არავითარი დაპირისპირება თანამშრომლებთან არ მქონდა და არც მათ შუამთავრობა. მათი პროტესტის მიზეზი სხვა რამ იყო. თანამშრომლები მოითხოვდნენ დირექტორი სამეცნიერო საბჭოს აერჩია, მაგრამ 2011 წლის დებულებით, დირექტორს საბჭო არ ირჩევდა. და-

უძვირფასესი ძეგლების დაცვის ერთ-ერთი მთავარი ცენტრი. ესაა მილიონობით ლარის სახელმწიფო ქონება და მისი დირექტორი, როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის ქონების მცველი, კოლექტივის მიერ არ უნდა იყოს არჩეული. მისი დირექტორი უნდა ინიშნებოდეს სახელმწიფოს მიერ, პრეპიერმინისტრის, პრეზიდენტის ან მინისტრის მიერ, რადგან ან სახელმწიფოებრივ საქმეს ანდობენ და არა უბრალოდ სამეცნიერო დანესებულების ხელმძღვანელობას. საცავის მთავარი მცველი, საქართველოში, ალბათ, ადამიანთა იმ ხუთეულში შედის, რომელთაც ყველაზე დიდი განძი აქვთ მიწოდებული. აქედან, დაწესებულების დირექტორი, ჩემი აზრით, არ უნდა იყოს არჩეული. ეს არის ამ ინსტიტუტის მნიშვნელობის ბოლომდე გაუცნობიერებლობა და ამ ჩემს მოსაზრებას გავაცნობ მინისტრსაც, პრეპიერსაც, პრეზიდენტსაც და თუ საჭირო იქნება, პარლამენტსაც გავუგზავნი შესაბამის წერილს.

– უკვე გვაქვს დამტკიცებული საშტატო ნუსხა, რომლის თანახმად, რაც თანამშრომლებს ხელფასი 300%-ითაც კი მოემატათ. ფინანსისტები ითვლიან, რომ მატება საშუალოდ 150%-ია, მაგრამ მაგალითად, მთავარ სპეციალისტს, რომელსაც ხელფასი 240 ლარი ჰქონდა, 850 გაუზარდა. ჩვეულებრივი სპეციალისტის ყველაზე დაბალი ხელფასი 650 ლარს შეადგენს ანუ, ხელფასმა საკმაოდ მოიმატა.  
გამომდინარე იქიდან, რომ მატება რამდენიმე დღის წინათ მოხდა, ივლისის თვეში თანამშრომლები მხოლოდ რამდენიმე დღის მომატებულ ხელფასს აიღებენ, მაგრამ აგვისტოში უკვე სრულს მიიღებენ. ხელფასის მატებას ჩემს თავზე ვერ მივიწერ. ეს პრეპიერის დავალებაც იყო და მანამდეც, სამინისტროს ჰქონდა ამის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. უბრალოდ, ეს ჩემს პერიოდში მოხდა. ჩემი დამსახურება ნამდვილად არ არის. მე არასდროს მივცემ თავს უფლებას, სხვისი დამსახურება მივიწერო.

ზე ვმუშაობ. ცენტრს ექნება არა მხოლოდ კვლევითი დანესებულების, რაც უმნიშვნელოვანესია, არამედ საგანმანათლებლო და სამუზეუმო-საექსპოზიციო ფუნქციაც.  
– ინტენსიური საუბარი მიმდინარეობდა შენობის შეცვლაზე, ადგილი შეირჩა?  
– სხვა ქვეყანაში არ მიცხოვრია, აქ ვცხოვრობდი, კარგად ვიცნობდი აქაურ თანამშრომლებს და ისიც კარგად ვიცო, რომ მინიმუმ 30 წელზე მეტია, საუბარი მიდიოდა ცენტრის სხვა შენობაში გადასვლაზე და სათანადო პირობების შექმნაზე, პირველ რიგში, ხელნაწერებისთვის. ამაზე ზრუნავდა ბატონი ზაზა აბაშიძეც, ქალბატონი ელო მეტრეველი. იყო კიდევ გადაწყვეტილება მიღებული, რომ ინსტიტუტს გადასცემოდა მეტად მყარი, ყოველმხრივ საუკეთესო ყოფილი „იმელი“ შენობა. ეს იყო ჯერ ზვიად გამსახურდიას გადაწყვეტილება, შემდეგ ზურაბ ჟვანიასი, მაგრამ განხორციელება ვერ მოხერხდა, როგორც ჩანს, სააკაშვილმა გადაწყვიტა, ეს შენობა გაეყიდა და გაყიდა კიდევ, სადაც ახლა სასტუმროს აშენებენ. ამის შემდეგ, ამ საკითხზე ზრუნვა არ შენეგობდა არც ბატონი ზაზა აბაშიძის და ბატონი ბუბა კუდავას დროს. როგორც ვიცი, ბატონ ბუბას ახლის მშენებლობაზე ჰქონდა აქცენტი. ამიტომ, გამიკვირდა, როდესაც რამდენიმე დღის წინათ ტელევიზიით განაცხადა, რომ ძველი შენობის რეკონსტრუქციაც შესაძლებელია.



ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის (ძველი) ახალი შენობა

– რა შეიცვალა თქვენნი დანიშვნის შემდეგ? აცხადებთ, რომ, პირველ რიგში, თანამშრომლებისთვის ხელფასების გაზრდის საკითხს დააყენებდით...  
– რა შეიცვალა თქვენნი დანიშვნის შემდეგ? აცხადებთ, რომ, პირველ რიგში, თანამშრომლებისთვის ხელფასების გაზრდის საკითხს დააყენებდით...  
– თქვენი დანიშნამდე ცენტრი სხვადასხვა პროექტებზე მუშაობდა. რა ახალ პროექტებზე მუშაობთ? რა გაქვთ დაგეგმილი სამომავლად?  
– პროექტები, რაც ცენტრში ხორციელდებოდა, ყველა მათგანი გაგრძელდება და ბევრი ახალი იდეებიც დაემატება. ახლა მკვდარი სეზონია, გარდა ამისა, მოვალეობის შესრულებას რეალურად, ივნისში შევუდექი და ამ ეტაპზე საორგანიზაციო, სახელფასო და სხვადასხვა იურიდიულ საკითხებზე ვმუშაობ.

სახელი შეუნარჩუნდა ჩუბინაშვილის ხელოვნების ისტორიისა და ბერიტაშვილის სახელობის ცენტრებს. მხოლოდ კორნელი კეკელიძე რჩება. შესაბამისად, მივწერეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომ მეცნიერთანამშრომლებს კვლავ სურდათ ამ სახელის აღდგენა. რამდენიმე დღის წინათ, პრეპიერ-მინისტრის დადგენილება მოვიდა, რომ ცენტრს ოფიციალურად აღუდგა კორნელი კეკელიძის სახელი, რომელიც თავის დროზე ილია აბულაძის ინიციატივით ეწოდა.  
– ბატონო ზაზა, თქვენი დანიშვნა აქტიურობის ფონზე მოხდა, თუმცა, ცენტრში მუშაობა მეტად მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს, როგორ მუშაობთ კოლექტივთან? საზოგადოებისთვის ეს, ალბათ, ძალიან საინტერესოა.  
– არ ვარ ისეთი ადამიანი, რომ ჩემთან თანამშრომლობა და ურთიერთობის დალაგება ვინმეს გაუჭირდეს. პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში 475 თანამშრომელი მყავდა და პირველი დღეებიდანვე ყველასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა, გავიცანი თითქმის მთელი კოლექტივი. მე არ ვარ რთული საურთიერთობო, მაგრამ დირექციის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლაც არ არის ლამაზი. ქორებს აყოლილი

პირისპირება მათსა და მაკონტროლებელ ორგანოს შორის ამან გამოიწვია, მაგრამ ძალიან საინტერესოა, რომ დღეს ცვლილება შევიდა „მეცნიერების ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონში“ – სამეცნიერო დანესებულების დირექტორს 5 წლის ვადით სამეცნიერო დანესებულების სამეცნიერო საბჭო ირჩევს. პრაქტიკულად, მივიღე იმ კანონამდე, რომელსაც ცენტრის თანამშრომლები ითხოვდნენ.  
მე პირადად, ასეთი ცვლილების კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ჩვენს ცენტრთან მიმართებაში. ბერიტაშვილისა და ბაქტერიოფაგის ცენტრებში, ისტორიისა და ლიტერატურის ინსტიტუტებში, კი ბატონო, აირჩიონ დირექტორი, მაგრამ ჩვენ უბრალოდ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი არ ვართ. ბატონ პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს აუცილებლად მივწერ, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი თავის თავში აერთიანებს როგორც სამეცნიერო-კვლევით დანესებულებას, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო დანესებულებას, მაგრამ, რაც მთავარია, ეს არის საცავი, რომელიც მილიონობით ღირებულების საგანძურს ინახავს. ესაა ეროვნული მემკვიდრეობის,

საბძრთველი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი თელავში ბატონის ციხის (სასახლის) რეაბილიტაციის ახორციელებს.  
სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ილია დარჩიაშვილმა და მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ დაათვალიერეს.  
ბატონის ციხის რეაბილიტაციის პარალელურად, ფონდმა უკვე გამოაცხადა ტენდერი ბატონის ციხის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. რეგიონული განვითარების პროექტი მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 1,573,000 ლარია.  
აღსანიშნავია, რომ ბატონის სასახლეს რესტავრაცია ბოლოს გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩაუტარდა, მაგრამ რიგ შემთხვევაში არ იყო გამოყენებული ის მასალები, რომელიც სასახლის მშენებლობის პერიოდში, ასევე არ იყო დაცული რესტავრაციის საერთაშორისო სტანდარტები. სწორედ ამიტომ მუნიციპალური განვითარების ფონდის ძალისხმევით მოხდა არსებული პროექტის კორექტირება, რათა



სრულად იქნას დაცული ყველა შესაბამისი სტანდარტი და ძეგლის იერსახე არ დაირღვეს. კორექტირებული პროექტი მოიცავს სასახლის სასურავის თაღის ავანტიურობის შენარჩუნებას, კედლების გასაღვს ნაცვლად გამოყენებული იქნება კირი, რადგან შენობაზე არსებული არტეფაქტები ადასტურებს, რომ თავდაპირველად სასახლის მშენებლობისას კედლებს გასაღვსად სწორედ კირის მასალა იქნა გამოყენებული, ბატონის სასახლის სწორად რეაბილიტაციისთვის ზემოთ აღნიშნული ყველა დეტალის გათვალისწინება აუცილებელი ფაქტორია. დაშვებული შეცდომების და ზემოთ აღნიშნული საკითხების გამოსასწორებლად მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ სასახლის რეაბილიტაციის პროექტის შემუშავებისას ჩართო ყველა მხარე, რათა პროექტი გამართული ყოფილიყო. პროექტში გარდა ზემოთ აღნიშნულისა მოხდა რიგი ცვლილებების შეტანა, კერძოდ: შენობაში საგამოფენო სივრცის დამატება, გამწვანება და ბატონის ორნამენტების ქვევრის ტიპის ორნამენტებით შეცვლა. კორექტირებული პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს ბატონის ციხის სრული რეაბილიტაცია. ბატონის სასახლე დაფუძნდა და თავდაპირველი, სამეფო რეზიდენციის დანიშნულებით ფუნქციონირებდა ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთ რთულ პერიოდში, XVII ს-ის 70-იანი წლებიდან 1801 წლამდე.

ივ. 9 გვ.

## ინფორმაცია

### სრულყოფილად აღდგება ბატონის ციხე

საბძრთველი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი თელავში ბატონის ციხის (სასახლის) რეაბილიტაციის ახორციელებს.  
სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ილია დარჩიაშვილმა და მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ჯუანშერ ბურჭულაძემ დაათვალიერეს.  
ბატონის ციხის რეაბილიტაციის პარალელურად, ფონდმა უკვე გამოაცხადა ტენდერი ბატონის ციხის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. რეგიონული განვითარების პროექტი მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 1,573,000 ლარია.  
აღსანიშნავია, რომ ბატონის სასახლეს რესტავრაცია ბოლოს გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩაუტარდა, მაგრამ რიგ შემთხვევაში არ იყო გამოყენებული ის მასალები, რომელიც სასახლის მშენებლობის პერიოდში, ასევე არ იყო დაცული რესტავრაციის საერთაშორისო სტანდარტები. სწორედ ამიტომ მუნიციპალური განვითარების ფონდის ძალისხმევით მოხდა არსებული პროექტის კორექტირება, რათა

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

შეუნყნარებლობა კანონზე კლიერის

კანონის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მიღებიდან 1 წლის შემდეგ ადამიანის უფლებათა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თანასწორუფლებიანობის კოალიციამ“ შეაფასა მისი საქმიანობა. სამართალდამცველების დასკვნები არ გვაშვიდებენ – კანონს არ გააჩნია უნარი, დაიცვას საქართველოს მოქალაქეები დისკრიმინაციისგან.

„ჩვენ არ გვინდა, ვიყოთ მეტად კრიტიკულები“, აღიარებს „თანასწორუფლებიანობის კოალიციის“ წარმომადგენლებმა კანონის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ შესრულების მონიტორინგის შედეგების პრეზენტაციის წინ. უჩვეულო სიფრთხილე სამართალდამცველებმა გამოიჩინეს არა კანონის „ასაკის“ გამო – იგი სულ ერთი წლისაა, არამედ იმის გათვალისწინებით, თუ როგორი ბარიერების გადალახვა მოუწია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას, რათა მიეღო ანტიდისკრიმინაციული დოკუმენტი. მის წინააღმდეგ გამოვიდა ყველაზე გავლენიანი ინსტიტუტი – ქართული მართლმადიდებელი ეკლესია. ამ უკანასკნელმა შეძლო, მიეღწია მნიშვნელოვანი ცვლილებებისათვის კანონპროექტში, რამაც თავისთავად, როგორც მაშინ სამართალდამცველებს ემინოდათ კიდევ, გავლენა მოახდინა კანონის ეფექტიანობაზე.

როგორც ჩვენთვისაც კი, ვინაიდან კანონი არ ავალდებულებს კერძო პირებსა და კომპანიებს, რომლებსაც ბრალი ედებათ დისკრიმინაციაში, წარუდგინონ ინფორმაცია სახალხო დამცველსაც კი. ესეც უნდა შეიცვალოს“.

ადამიანის უფლებათა მონიტორინგისა და შესწავლის ცენტრის წარმომადგენელი თამაზ მიქელაძე აღნიშნავს კანონის არასრულყოფილების სხვა მხარეებსაც.



„არსებული მექანიზმის სისუსტე და არაეფექტიანობა არის ის, რომ კანონი არ ანიჭებს მას უფლებას, სასამართლოს დახმარებით დაანესოს ჯარიმა ან სანქციები იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც ჩაიდინა დისკრიმინაცია, მიუხედავად იმისა, რომ, მეორე მხრივ, აიძულებს სახალხო დამცველს, შეისწავლოს შესაძლო დისკრიმინაციის ფაქტები. სასამართლო ასევე არაა მომზადებული ამ კანონის შესრულებისათვის მორალური ზარალის ანაზღაურების ან კომპენსაციის თანხის განსაზღვრის თვალსაზრისით. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ მოსამართლეები გვერდს უვლიან ანტიდისკრიმინაციული კანონის გამოყენებას და მიმართავენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ლოგისკას“.

სხვათა შორის, არაკომპეტენტურობა და ცუდი ინფორმირება ამ საკითხში სამართალდამცველებმა შენიშნეს არა მხოლოდ

მოსამართლეებთან დაკავშირებით. შარშან 2 მაისს კანონის მიღების შემდეგ სახალხო დამცველის აპარატს შესაძლო დისკრიმინაციის ფაქტთან დაკავშირებით მიმართა მხოლოდ 95 მოქალაქემ, რაც, „თანასწორუფლებიანობის კოალიციის“ წარმომადგენელთა აზრით, არის მეტად დაბალი მაჩვენებელი და მიუთითებს ინფორმაციის არარსებობაზე საზოგადოებაში. ამის შესახებ მეტყველებს ის ვითარებაც, რომ მომჩივნათა უმრავლესობა – ესენი არიან ოპოზიციური პარტიების „ეროვნული მოძრაობა“ და „თავისუფალი დემოკრატები“ აქტივისტები. ისინი ჩივიან შეზღუდვების გამო სამუშაო ადგილებზე პოლიტიკური ნიშნით.

მაგრამ დისკრიმინაციის ყველაზე მეტი შემთხვევა შეინიშნება ბავშვებთან, შეზღუდულ შესაძლებლობათა პირებთან, ხანდაზმულ ადამიანებთან, რელიგიულ უმცირესობასთან და ლგბტ-ასთან დაკავშირებით, ამტკიცებს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ ხელმძღვანელი ანა აბაშიძე და ამბობს:

„ამ საკითხებს შეიძლება მიუდგენულოვანი ტოლერანტობით. კომპრომისი ამ შემთხვევაში დაუშვებელია. დისკრიმინაციის ყველა ფაქტი უნდა იქნეს გამოვლენილი და აღმოფხვრილი“.

თავად ხელისუფლების წარმომადგენლებმა ამ საკითხს ჯერ კომენტარი არ გაუკეთეს. სამართალდამცველებს იმედი აქვთ, რომ მათ მიერ დამუშავებული ანტი-დისკრიმინაციული კანონის შესწორებების პაკეტს პარლამენტი განიხილავს უკვე სექტემბერში. პარალელურად „თანასწორუფლებიანობის კოალიციას“ განზრახული აქვს, დაიწყოს ფართო კომპანია ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული მოუთმენლობის წინააღმდეგ იმ ადამიანებისადმი, რომლებიც უმრავლესობისაგან განსხვავდებიან.



დედაიწინის ჯურჯა



ჩინეთი მოსახლეობის რაოდენობის მისი იმდენობით რამდენიმეჯერ აღემატება, აზრის მქონეებში კი 2,5-ჯერ ბაიზრადია, ნათქვამია ბაიზრის პრემიერ-მინისტრმა სი-სიანგმა.

2050 წელს დედაიწინის მოსახლეობის რაოდენობა იქნება 9,7 მილიარდი კაცი, საუკუნის ბოლოსათვის კი პლანეტის მოსახლეობა 11,2 მილიარდს გადაჭარბებს. ამ დროს ზრდის ყველაზე მაღალი ტემპები მოსალოდნელია აფრიკაში, უნინარეს ყოვლისა – უღარიბეს ქვეყნებში, რაც, უსათულოა, გაართულებს ბრძოლას სიღარიბესთან. რუსეთში ნე-გატიური პროგნოზით 2100 წელს იცხოვრებს 70 მილიონი კაცი.

მისიკაში უმართავი საბჭოთაო ავტორიტეტის მემორიალი და პარტიის მემორიალი

წინასწარი მონაცემებით, ქვისის დატირთული სატირთო მანქანა შეგარდა პროცესში, სადაც დაახლოებით 200 კაცი იყო, სულ ცოტა 16 კაცი დაიღუპა, კიდევ დაახლოებით 30 დაიჭრა. ალბათ, სატირთო მანქანის უღალატა მუხრუჭებმა. მანქანის მძღვარი ტრადიციის ადგილიდან გაქრა.


კომისიის მხარეს სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის სახმადრწმუნო-საპარტო კაღაბის სწამ-ღებამ, ანტონა მათ, რომ ემხარებ-ბინა აზრ-სთან და სახმრთი კომი-სთან ომისათვის



სამხედრო-საპარტო შეჯიბრებები გაიმართა კორეის 1950-1953 წლების ომის შედეგების მიხედვით შერიგების ხელშეკრულების 62 წლის სათანადო და-კავშირებით, კომისიის ინმა სწავლებას „ომისათვის მზადება უნდა, რომელიც მიზნად ისახავს, ანგარიში გაუწიოს ამერიკელი იმპერიალისტებსა და სამხრეთ კორეის მართონეტების ჯგუფს“.

აზრ შტაბის უფროსის კომი-ტის საბჭოთაო რეჟიმის განმარტო, რომელიც რუსეთის მსოფლიოს მთა-ბარ საფრთხის უწოდებს

ამერიკის შეერთებული შტატების შე-იარაღებული ძალების შტაბის უფ-როსთა კომიტეტის ახალი ხელმძღვანე-ლი გახდა გენერალი ჯოზეფ დანფორ-დი. მოსმენებზე კონგრესში მან გა-ნაცხადა, რომ რუსეთის მიიწვეს „ამერი-კის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების უდიდეს საფრთხედ“ და მის ქვეყას მიიწვეს „განგაშის გამომწვევად“.



ისევ საომარი ლელო...

ჩაქვლეთ NATO-ს ბყავი და... იქიდან გადმოვხელოთ საქართველოს!

კონკრეტულად? – თუკი ამ ფორმატმა შეიძინა პოლიტიკური კომპონენტი და მას დაეკისრა პოლიტიკური საკითხების განხილვა, ამან შეიძლება ერთგვარად დააკინოს ფენევის პროცესი, სადაც ჩვენ საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად ვმოწინააღმდეგებთ. ამის რისკი არსებობს და ამან შეიძლება ჩვენი დასავლელი პარტნიორების გვერდზე გაყენება გამოიწვიოს. რაც შეეხება არსებული ფორმატის გაუქმება-არგაუქმებას, ამისთვის საჭიროა, დასხდნენ მაგიდასთან, აიღონ ხელში ქალღმერთი და ჩამოწიონ, ვისთვის არის სასარგებლო ფორმატის გაუქმება და ვისთვის საზიანო. ჩემი აზრით, ამ ფორმატის გაუქმებით საქართველო უფრო დაზარალდება, ვიდრე რუსეთი.

ნება საშუალება, ვესაუბროთ რუსეთს იმ საკითხებზე, თუნდაც, იგივე საზღვრისპირა პრობლემებზე.

– თუმცა, ამ ფორმატის არსებობის მიუხედავად საზღვრისპირა პრობლემები კიდევ უფრო მწვავედ დგას...



– გასაგებია, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ამ ფორმატის მეშვეობით ხდება საკითხის დაყენება, მათ შორის რუსეთში პარტნიორობაში მყოფი ჩვენი მოქალაქეების განთავისუფლების საკითხი. ამ ფორმატის ფარგლებში ბევრი ისეთი საკითხის გადაწყვეტა ხდება, რაც ბევრი ჩვენი მოქალაქის ბედს წყვეტს. ასე რომ, ამ ფორმატის გაუქმებით რუსეთი აბსოლუტურად არაფერს არ კარგავს. საქარ-

ველომ კი, შეიძლება დაკარგოს რუსეთთან დიალოგის უკანასკნელი საშუალება, რომელიც ქვეყანას აძლევს იმის შანსს, რომ გარკვეული საკუთარი მოსარებები მიიტანოს რუსულ მხარესთან.

– ბატონო ზაალ, რამდენად აქვს ქვეყანას შანსი, რომ ვარშავის სამიტზე მიიღოს MAP?

– ვფიქრობ, ამის პასუხი იკითხება უსუფაშვილის განცხადებაში, სადაც ის ამბობს, რომ დასავლეთი და თავად ნატო, არ აპირებს რუსეთთან კონფრონტაციის ახალი ფრონტის გახსნას. ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, როგორი საერთაშორისო პოლიტიკური კონიუნქტურა ჩამოყალიბდება ვარშავის სამიტისთვის. ძალიან ბევრ საგარეო პოლიტიკურ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული, მიღწეული იქნება თუ არა დასავლეთსა და რუსეთს შორის რაიმე შეთანხმება უკრაინის საკითხთან დაკავშირებით, როგორი იქნება მათი თანამშრომლობა ისეთ პრობლემებზე, როგორც არის საერთაშორისო ტერორიზმი, ირანის ბირთვული საკითხი, ისლამურ სახელმწიფოსთან დაკავშირებული საფრთხეები და ა.შ. რომელ-

შიც დასავლეთს ძალიან საჭიროდებდა რუსეთთან თანამშრომლობა.

ერთი ნუთით შევეცადოთ, ჩავჯდეთ ნატოს ტყავში და მათი გადმოსახედიდან შევხედოთ საქართველოში არსებულ სიტუაციას, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ფაქტორის გათვალისწინებით, რამდენად აწყობს ნატოს საქართველოს სახით კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა ნატოს გაფართოების თვალსაზრისით. MAP, ეს უკვე, ძალიან სერიოზული განაცხადია. ფაქტიურად, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანამ ერთი ნაბიჯით შედგა ფეხი ნატოს კარებში, რაც ვფიქრობ, ასე უმტკივნეულოდ არ ჩაივლის.

– ის პროცესები, რომელიც ახლა საქართველოს საზღვრებთან ხდება, ერთგვარად უკავშირდება ვარშავის სამიტს და საქართველოს მოლოდინებს MAP-ის მიღებასთან დაკავშირებით?

– რუსეთი ყველანაირად ცდილობს, საქართველო დასავლეთის თვალში ჩამოაჩინოს როგორც საფრთხეებით დახუნძლული ქვეყანა. რუსეთმა ძალიან კარგად იცის დასავლეთის განწყობა, რომ მათთვის მიუღებელია ახალი პრობლემებით დახუნძლული ქვეყნის ალიანსში იმპორტირება, ამიტომ ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ყოველდღიურად მძიმე სურათი შექმნას საქართველოში, რათა ნატოში ნაღები ენთუზი-აზმი ჰქონდეთ იმისათვის, რომ კარი გაუღონ საქართველოს.



ახალი ღირებურობა, ახალი გეგმა

# ზაზა აბაშიძე: ვფიქრობ, პრემიერმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო

(მთავარი გვერდიდან)

მე არ ვიცი, რა იგულისხმება რეკონსტრუქციაში, მაგრამ ადგილი იმისათვისაც აღარ გვაქვს, რომ თანამშრომლები ნორმალურად იხსენებდნენ სამუშაო ოთახებში. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ საცავს განვითარება სჭირდება. აუცილებელია, ყველა საცავის ფართი გაიზარდოს. გაიხედეთ, ყოველი მხრიდან კორპუსებში ვართ მოქცეული მაშინ, როდესაც აკადემიური ზონა იყო. სხვადასხვა მიმართულების გეოლოგიის, გეოფიზიკის, მათემატიკის, ხელნაწეთა ინსტიტუტები და სამეცნიერო ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა. აქ აკადემიკალის ფუნქციის მქონე ტერიტორია უნდა ყოფილიყო, მაგრამ დარჩა რამე? ყველაფერი გაყიდულია, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსი, პრაქტიკულად, ჩვენს ეზოში შენდებოდა. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამ კორპუსებში ჩვენი ყოფნა მიზანშეწონილია, ცდებიან. ვფიქრობ, აუცილებელია ახალი შენობა უკეთესი პირობებით.

მინისტრ თამარ სანიკიძის ინიციატივით, ფაქტობრივად, პირველი დღიდან დავიწყეთ შენობის ან შესაფერისი ტერიტორიის ძებნა. გვინდოდა ან მიწის ფართის, ან უკვე არსებული ისეთი ძველი ისტორიული შენობის გამოჩენა, რომელიც რეკონსტრუქციას დაექვემდებარებოდა და ჩვენს ფუნქციებს დააკმაყოფილებდა. ჩვენ მიერ მიწოდებული ნუსხა მინისტრმა პრემიერს გადაცნო, შეხვედრას მეც ვესწარებოდი და ბატონმა პრემიერმა ყველაზე მეტად მისაღებ შენობად მიიჩნია და, ვფიქრობ, სამართლიანად,

ლევონიძის ქუჩაზე მდებარე ეროვნული ბანკის ყოფილი შენობა. ამან ძალიან გაგვახარა. რომ გითხრათ, პირდაპირ შეიძლება გადასვლა, ასე არ არის. შენობა გადაკეთებას, ჩვენი ფუნქციისთვის მორგებას სჭირდება. მართალია, შენობაში საცავი ბევრია, მაგრამ რეალურად, გამოყენებადი ჯერჯერობით ორია, ერთი საკმაოდ დიდი, სადაც შეიძლება უკვე

